

სს ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	12/31/2022 ლარი	12/31/2021 ლარი	12/31/2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2,300	8,110	16,586
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		6,031,685	6,031,685	6,031,685
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,033,985	6,039,795	6,048,271
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	197,013	197,013	148,179
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		4	4	434
სხვა მიმდინარე აქტივები	6	1,528,739	1,447,141	1,394,969
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,725,755	1,644,158	1,543,582
სულ აქტივები		7,759,740	7,683,952	7,591,853
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		32,366	27,863	13,150
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	2,661,057	2,447,992	1,975,564
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,693,423	2,475,855	1,988,714
სულ ვალდებულებები		2,693,423	2,475,855	1,988,714
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		25,500	25,500	25,500
გაუნაწილებელი მოგება		4,952,364	5,094,144	5,489,186
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		88,453	88,453	88,453
სულ საკუთარი კაპიტალი		5,066,317	5,208,097	5,603,139
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,759,740	7,683,952	7,591,853

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
დირექტორი აიეტი კუკავა

ს. 474039

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	8	-	41,385
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		-	41,385
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(137,188)	(375,802)
ფინანსური შემოსავალი / ხარჯი	10	(5,048)	8,057
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	11	456	(68,681)
მოგება დაბეგვრამდე		(141,780)	(395,042)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(141,780)	(395,042)

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
დირექტორი აიეტი კუკავა

ს. ყუყუაშვილი

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	25,500	88,453	5,489,186	5,603,139
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(395,042)	(395,042)
ნაშთი - 31.12.2021	25,500	88,453	5,094,144	5,208,097
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(141,780)	(141,780)
ნაშთი - 31.12.2022	25,500	88,453	4,952,364	5,066,317

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
დირექტორი აიეტი კუკავა

ს. 644039

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 16/12/2002). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, მ. კოსტავას ქ. №47/57. მისი ძირითადი საქმიანობაა მომსახურების გაწევა საინფორმაციო ტექნოლოგიურ სფეროში. იგი ასევე ახდენს კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და რეალიზაციას. ამასთან კომპანია გასცემს სესხებს საპროცენტო შემოსავლების მიღების მიზნით.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - აიეტი კუკავა (პ/ნ 62001020248)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ

არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2022	2021	2020
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ

მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად

საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ცვლილებები წარდგენაში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	კორექტირება / რეკლასიფიკაცია
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	197,013	198,927	(1,914)	რეკლასიფიკაცია
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	738,588	409	738,179	რეკლასიფიკაცია
სხვა მოკლევადიანი აქტივები	526,100	19,075	507,025	რეკლასიფიკაცია
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	1,247,100	(1,247,100)	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	7,297	6,965	331	რეკლასიფიკაცია
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	674,880	167,917	506,963	რეკლასიფიკაცია
საგადასახადო ვალდებულებები	27,863	29,645	(1,782)	რეკლასიფიკაცია
სხვა ვალდებულებები	1,155,153	1,664,476	(509,322)	რეკლასიფიკაცია
დასაქმებულთა ანაზღაურება	(338,227)	(337,384)	(843)	რეკლასიფიკაცია
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(29,100)	(29,943)	843	რეკლასიფიკაცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები - სატრანსპორტო საშუალებები
პერიოდი 01/01/2020	25,515	70,788
შემოსვლა	1,169	-
ცვეთა	(8,751)	(1,991)
ჩამოწერა	(1,347)	(68,797)
პერიოდი 31/12/2020	16,586	-
პერიოდი 01/01/2021	16,586	-
შემოსვლა	-	-
ცვეთა	(8,476)	-
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2021	8,110	-
პერიოდი 01/01/2022	8,110	-
შემოსვლა	-	-
ცვეთა	(5,810)	-
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2022	2,300	-

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
მოთხოვნები მომსახურებიდან	197,013	197,013	148,179
სულ	197,013	197,013	148,179

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
გადახდილი ავანსები	6,698	5,940	4,241
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	182,453	182,453	153,343
გაცემული სესხები	732,648	732,648	774,986
მისაღები პროცენტები	596,428	514,452	452,174
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,914	1,914	1,914
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8,597	9,734	8,312
სულ	1,528,739	1,447,141	1,394,969

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
საიჯარო ვალდებულება	539	539	327
სავაჭრო ვალდებულებები	10,708	7,297	8,108
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	763,817	674,880	370,816
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	642,677	610,124	525,204
მიღებული ავანსები	45,125	45,125	45,125
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	540,651	540,651	540,651
გადასახდელი დივიდენდი	223,631	223,631	223,631
გადასახდელი საპენსიო გადასახადი	9,932	9,063	7,050
გადასახდელი პროცენტები	321,931	234,907	152,545
სხვა ვალდებულებები	102,046	101,776	102,107
სულ	2,661,057	2,447,992	1,975,564

8. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	41,385
სულ	-	41,385

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	(114,115)	(338,227)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(5,810)	(8,476)
კომუნიკაციის ხარჯი	(5,721)	(13,467)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(9,996)	(12,300)
საპენსიო ხარჯი	(423)	(772)
სხვა ხარჯი	(1,123)	(2,560)
სულ	(137,188)	(375,802)

10. ფინანსური შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	81,977	90,418
საპროცენტო ხარჯი	(87,025)	(82,362)
სულ	(5,048)	8,057

11. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
საკურსო შემოსავალი / ხარჯი	-	(70,748)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	456	2,067
სულ	456	(68,681)

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 30 სექტემბერს.

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
დირექტორი აიეტი კუკავა

ს. 444039